ნასყიდობის ხელშეკრულება №რფმ/

ქ. თბილისი _____ 2016 წელი

შპს `რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი~ (საიდენტიფიკაციო კოდი 202460103), შემდგომში _ ~გამყიდველი~, წარმოდგენილი ---------- სახით და _____ (პირადი #/საიდენტიფიკაციო კოდი) შემდგომში _ ~მყიდველი~, შპს `რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი~-ს მიერ 2016 წლის _____ გამოცხადებული №__/__ ელექტრონული (ინტერნეტ) აუქციონისშედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტის" მიერ ელექტრონული (ინტერნეტ) აუქციონის წესით გამოცხადებული ქონების ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებული 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.19.24.003.020) რეალიზება.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "გამყიდველი" საკუთრებაში გადასცემს "მყიდველს" - დანართი №1-ში მითითებულ ქონებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) აშშ დოლარს (ელექტრონული აუქციონზე `მყიდველის~ მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 "მყიდველის" მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი „ბე"-ს გამოკლებით) ჩარიცხულია შპს "რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტის" საბანკო რეკვიზიტებზე, რაც დასტურდება მყიდველის მიერ წარმოდეგენილი საგადახდო დავალებებით (დანართი №2) ; 4.2 "მყიდველის" მიერ გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ "მყიდველსა" და "გამყიდველს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 "გამყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, უფლებამოსილი პირია, _____(პირადი № _____).

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1 "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველს" გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;

6.2 "მყიდველი" ვალდებულია ხელშკრულების გაფორმებისთანავე მოახდინოს ხელშკეურლების ობიექტის მიღება "გამყიდველისაგან";

6.3 "მყიდველი" ვალდებულიასაკუთრების უფლების მიღების შემდგომ, შეძენილ მიწის ნაკვეთზე, ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის და კომუნიკაციების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, შესაბამისი პროექტი შეათანხმოს სს "საქართველოს რკინიგზას"-თან;

6.4 „მყიდველი" ვალდებულიამიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ხელს არ შეუშლის სს "საქართველოს რკინიგზას" კლიენტთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მისასვლელი ლიანდაგების დანიშნულებით მოძრავი შემადგენლობისა და ტვირთების

შეუფერხებლად გატარებას. ასევე, ხელს არ შეუშლის ამ მიწის ნაკვეთზე განლაგებული სარკინიგზო მისასვლელ ლიანდაგზე/ხაზზე მიერთებულ მ/ლიანდაგ(ებ)ზე ვაგონების მიწოდება-გამოტანის ოპერაციების წარმოებას.

6.5 ”მყიდველი” ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ხელშეკრულების ასლის (2 ეგზემპლიარად) გამოთხოვის ხარჯები ანაზღაურდება „მყიდველის“ მიერ.;

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის, სანოტარო წესით დამოწმების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

9. დასკვნითი დებულებები

9.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროში, ერთი მყიდველს, ორი გამყიდველს და ერთი ინახება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი”	”მყიდველი”
შპს ”რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი” ს/კ 202460103 ქ.თბილისი, თამარ მეფის №15 თიბისი ბანკი: კოდი TBCBGE22 ანგ. GE43TB7182336080100002 ტელ.: 219 96 62; 595 03 00 08	---------- მისამართი: ---------- ---------- იურიდ. მისამართი: ---------- -- ტელ.: ---------- _____